

საქართველოს პარტიული გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკაში
შექმნილი უაღრესად მძიმე ვითარება და პოლიტიკური ძალების უკიდურესი დაპირისპირება მხოლოდ გონივრული, ამასთან, გადამწყვეტი ზომების მიღებას, რამაც აუცილებლად უნდა უზრუნველყოს საყოველთაო მშვიდობის დამყარება და შეუფერხებელი წინსვლა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და დემოკრატიული ცხოვრების დამყარებისათვის.

დღეს, როცა ქართველი ხალხი რეალურად დგას სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი მიიჩნევს, რომ ერის ხსნის ერთადერთი საშუალება არ-

ხალხის ცხოვრებაში არსებობს თარიღები, რომლებიც ისეთი გამჭადარი მის ცნობიერებაში, რომ თითქმის წმიდათაფშიდლ არის მიჩნეული. ასეთი თარიღი იყო და არის პირველი სექტემბერი — ახალი სასწავლო წლის დაწყების დღე. იგი ერთნაირად ძვირფასია როგორც მასწავლებელთათვის, ისევე მოწაფეებისთვის. თვით რიცხვი „პირველი“ ფსიქოლოგიურად განაწყოებს ადამიანს რაღაც ახლის დასაწყებად. ასე იყო მრავალი წლის მანძილზე, მაგრამ უკვე მერამდენე წელია სხვადასხვა ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზთა გამო სწავლის დაწყებას ხან 16 სექტემბერს გვიბრძანებენ და ხან 1 ოქტომბერს. მოიშალა პირველი სექტემბრის ტრადიცია და მასთან ერთად მოიშალა სასწავლო პროცესიც, ვეღარც პროფესორ-მასწავლებლები ვხარჯავთ სრულად ჩვენს სულიერ ძალებს და სტუდენტებსაც მოუღუწდათ სულიერი ენერგია. სათავეშივე მოშლილი სასწავლო პროცესი წლის

წარიღი რედაქციას
პირველი საქართველო
წინდა თარიღია

ბოლომდე ღუწეღ მიედინება და დღითიდღე დაბლდება ჩვენი განათლების ისედაც სავალალო დონე.

შესანიშნავად მესმის ის მიზეზები, რაც იწვევს სწავლის დაწყების თარიღის ამ უთავბოლო ცვლას, მაგრამ სრული შეგნებით ვაცხადებ, რომ პირველი სექტემბრის მოშლით კიდევ უფრო გუწყობთ ხელს ყოველი სწავლის დაწყებისათვის. ტყუილად გვგონია, რომ სწავლის დაწყების გადაწყვეთი ეშველება იმ ქაოსს, საქართველოში რომ სუფევს უკანასკნელი წლების მანძილზე. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავაწიროთ სწავლის დაწყების თარიღი, მოსწავლემ და სტუდენტმა უნდა იცოდეს, რომ მისი უპირველესი მოვალეობა სწავლა, ამ მოვალეობის შეგნება ახალგაზრდობას სულაც არ შე-

უშლის ხელს იფიქროს ქვეყნის მომავალზე, პირიქით, მე პირადად არ მინახავს, უდისკიპლინო, უწიგნურ სტუდენტს ეფიქროს საქვეყნო საქმეზე. ასეთი სტუდენტები შეადგენენ იმ მასას, ვინც ერთვნილი საქმის კეთების საბაბით წიგნში აღარ იხედება და უმაღლესის „დამთავრების“ შემდეგ ემატება ჩვენი დიპლომაირი უმცირესი უზარმაზარ არმიის.

დალი ზანუაიძე,
თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დოცენტი.

პრონია
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დამფუძნებელი, თამაზ შამუგიაძის ძე შოშიაშვილი დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის მოადგილედ.

ვილოცობ საქართველოსთვის!

ამ სტრიქონებს სულით ხორცამდე შეძრული ვწერ... საქართველო სამოქალაქო ომის ზრუნულს მიაღწა.

ა. წ. 22 სექტემბერს სამშვიდობო ეპისტოლეით კვლავ მოგვმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. კიდევ ერთხელ გვძღვება შანსი გადარჩენისა. ამჯერად მაინც შევისმენთ კი ხმას უფლისას?..

ნათუ ვეღარ შევიგნეთ, რომ ქართველის მიერ თუნდაც ერთი ქართველის დაღვრისას ხსენების ფასს ვერანაირი თავისუფლება, დემოკრატია თუ პრეზიდენტობა ვერ გადასწონის?..

მაგრამ ეს წნეობისა და ჰუმანურობის სფეროა, ხოლო ჩვენი პოლიტიკური „კულტურა“, სამწუხაროდ, ე. წ. პირველყოფილი ჯიშის წყობილების საფუძვრის ვერ გასცილება ჭრჭირობით...

და მაინც... უნდა ვეცადოთ ოფიციალურ ზედაპირზე და „პაოზიციას შორის მოლაპარაკების გზით ერთნაირი თანხმობის მიღწევას — სამოქალაქო მშვიდობის დამყარებას, რაც გულისხმობს ხელისუფლების სტრუქტურისა და შემაღდენლობის ძირითად განაღდება-შეცვლას, პოლიტიკური ძალების განთავისუფლებას, ძალადობის გამოვლინებათა შეწყვეტას, სიტყვის თავისუფლებას, საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა დამკვიდრებას, ერთი სიტყვით, დემოკრატიის პარადიგმის დაწესებას... ხევა გზის ვერ ვხედავ... ვილოცობ საქართველოსთვის!

ზაზა სიხარულიძე
ღვთისმშვილთა კავშირის პრეზიდენტი

რედაქციისაგან:

ცნობილია, რომ ცენტრის ერთ-ერთი უხუცესი ანტიკარტელი კოლეგია აფხაზთა და სამხრეთ ოსთა „შევიწროვებულობაზე“ დემაგოგობა. საქართველოს ეროვნული უმცირესობათა „ჩაგრულობის“ გამო იმპერიის ბევრი აშკარა თუ შეფარებული დამპყრობის ნიშნები ცრემლებს. მაგრამ, რატომღაც, ყველა მათგანი იფიქრებს მხოლოდ, რუსულ გამოხატვაში: „Все познается в сравнении“.

აზრადაც არ მოხდით, შეადარონ ერთმანეთს, ერთი მხრივ, საქართველოს და, მეორე მხრივ, სხვა რესპუბლიკების, განსაკუთრებით რუსეთის ეროვნულ-სამხრეთ-დასავლეთის მდგომარეობა.

თ. მირიანაშვილმა კი მოახდინა ამგვარი შედარება ნაშრომში „ჩვენ, აფხაზები, ოსები და სხვანი“, რომელშიც მოტანილია უკანასკნელ დროს, გასსწორების წყალობით გამოქვეყნებული მრავალი ფაქტი, დოკუმენტი, სტატისტიკური მონაცემები, მაჩვენებლები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ერთა რეალური მდგომარეობისა. ამ მახაღაზე დაყრდნობით, თ. მირიანაშვილმა დაასაბუთა, რომ აფხაზები და სამხრეთ-დასავლეთ ოსები არიან არამცაუ ყველაზე შევიწროვებულები, არამედ ყველაზე პრივილეგირებულები საბჭოთა კავშირის ეროვნულ-სამხრეთ-დასავლეთის შორის..

აღნიშნული ნაშრომის რამდენიმე ფრაგმენტი გამოქვეყნდა „ახალგაზრდა ივრეილმა“ (11, 20 ოქტომბერი, 1, 15 ნოემბერი, 1990 წ. და „საქართველოში“ № 3, 1991). საინტერესოა, რომ აფხაზ-ოსთა ლიდერები, ესოდენ გაწაფულნი ქართული-პრესის პუბლიკაციითა „მხილვებით“, ამ ხუთ ვრცელ სტატიას, საერთოდ, არ გამოხმაურებოდნენ. ასეა, როცა ფაქტებზე მიდგება საქმე, „ადამონ ნიხანელი“ და „აიდილოარელი“ დემაგოგები წაყრუებას ამჯობინებენ ხოლმე.

ამჯერად გათავაზობთ თ. მირიანაშვილის ნაშრომის დასკვნით ნაწილს, სადაც აფხაზთა მიერ ქართველებისადმი ყველაზე ხშირად წაყენებულ ბრალდებაზეა გაცემული პასუხი. მკითხველმა იცის, რა ბრალდებებია ეს და ქართველ პუბლიცისტთა ამომწურავი პასუხებიც მათზე არაერთხელ წაუკითხავს. მაგრამ აფხაზი ლიდერები მაინც დაუღალავად გააყვირიან და გაპყვირიან, რომ ქართველების ბრალია აფხაზთა ზედმეტი ოდენობის 17 პროცენტამდე დასვლა მათს ავტონომიაში, რომ ქართველებმა დაზარალებეს აფხაზური სკოლის ხსენი „უკანასკნელ შანსად“ ეს ლიდერები აცხადებდნენ და აცხადებდნენ, რომ აფხაზები გადამენების გზაზე დგანან. ...აფხაზი ერის ხსენი რუსეთის ფედერაციაში გაწევრიანებას.

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია რუსეთის ყველა ავტონომიის ეთნიკური სიტუაცია (მკვიდრი ერებისა და მიგრანტთა შეფარდება) და მკვიდრი მოსახლეობის მატების ტემპები. ამრიგად, ნაჩვენებია, რომ რუსეთში აფხაზებს ექნებოდათ არა უკეთესი, არამედ გაცილებით უარესი მდგომარეობა. სტატიაში ნაჩვენებია აგრეთვე, რომ აფხაზებს (სამხრეთ-დასავლეთ ოსებთან ერთად) ყველაზე უკარგო მდგომარეობა აქვთ დედანისა და ეროვნული სკოლების მხრივ, რაც შეეხება „მაგველობას“ და „ნეოფაშისტობას“, ამ თვალსაზრისითაც გავლენილია პარალელი თანამედროვე ქართველ და რუს მოღვაწეთა ნააზრევებსა და კონკრეტულ საქმიანობას შორის. ასე რომ, თვალსაზრისით შეუძლია დანახვა, საიდან ემუქრებათ ნამდვილი საფრთხე აფხაზებსაც, ოსებსაც და, საერთოდ, ყველა „ნაცემს“.

კვლავ პარალელები

თუმცა აფხაზები ძალიან ხშირად და ძალიან მაგარი გამოთქმებით ლაპარაკობენ ქართველთა დანაშაულებზე, მათ მიერ სხვადასხვა ვარიანტითა და სხვადასხვა ზომით მოწოდებული პრეტენზიები ძირითადად სამ ბრალდებამდე დაიყვანება:

- ჩვენ გადავიტყვევია აფხაზეთი 20-50-იანი წლების ტერორის ძირითად პოლიგონად;
- აფხაზები თავიანთ სამშობლოში დიდ უმცირესობად გავიზიდავს;
- მოგვისპირა ეროვნული სკოლები, რის შედეგადაც ძალიან ბევრმა აფხაზმა დღეს არ იცის დედაენა.

პირველ ბრალდებაზე ბევრი ლაპარაკი არც კი ღირს. მხოლოდ უნდა შევასწავლოთ აფხაზ ცილისმამებლებს, რომ უზნებობა ქართველი ერის მიერ საუკუნოდ შეჩვენებული სამშობლოს ორი მოთხოვნის დანაშაულთა მთელი ერისთვის გადმობრალება. აფხაზები ძალიან კარგად იცნობენ ოფიციალურ მონაცემებს, რომლებითაც ირკვევა, რომ ათობით საბჭოთაო ერი მათზე შეუდარებლად მძიმედ დაზარალდა სტალინური ტერორის შედეგად და რომ ქართველი ერი ერთ-ერთი ყველაზე დაზარალებული — განადგურდა ჩვენი ინტელიგენციის ელიტის უდიდესი ნაწილი, განადგურდა ათობით ათასი სრულიად უდანაშაულო ქართველი.

დიდი ხანა შემჩნეულია, რომ სტალინისტობაზე თავს დებდნენ და დებენ ის ადამიანები, ვისაც ზედმად აარიდა უშუალო შეხედულება სტალინურ სარეპრესიო მანქანასთან. ისინი კი, ვისაც თავისი თვალთი უხილავს ჩეკის ოპოზიციონერები და გულაგის ბარაკები, სტალინისტები არც არიან და არც ოდესმე გახდებიან. ასევეა ერიებიც ბელადის სიტოცლუშიც ჩუმ წყევლას ალუქენდნენ მის სახელს ჩეჩნები, ინგუშები, ყალმუხები, ყირიმელი თათრები, ყაბარდოელები... აფხაზები კი...

«У нас в Абхазии к Сталину особое отношение. У нас был свой роман с ним. Недаром говорят, что абхазец, как только его отрывают от груди матери, норовит вцепиться в усы СТАЛИНУ».

ამას წერს ფაზილ ისკანდერი („გოპროსი ლიტერატურა“, 1989, № 5. გვ. 49). ჩვენ კი გვიჩნდება კითხვა, რა არის მიზეზი აფხაზთა ოსობი ოთხობი, მათი რომანისა ბელადთან? ის რომ არა, რომ უკვე სტალინის ეპოქაში აფხაზებს პირობითი „გოპროსი“ უკვე მაშინ შეგნებულად ამოავლებდნენ აფხაზ ბიუროკრატების რიგებს, რისთვისაც მათ შეუძლებს ავტონომიური რესპუბლიკა, თუმცა მათი ოდენობის ერებს უკეთეს „შეშვებაში“ „ოპროსებს“ უბოძებდნენ ხოლმე.

ახლა, რაც შეეხება მეორე ბრალდებას. აფხაზები მხოლოდ და მხოლოდ ქართველებს გვაბრალებენ, ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობაში მათ ზედმეტი ოდენობის 17 პროცენტამდე დასვლას, თითქმის მოსახლეობის დანარჩენ 83 პროცენტს მხოლოდ ქართველები შეადგენდნენ. აფხაზთა ანტიქართული პასკილენში დამალულია, რომ მიგრაციული პროცესების წარმოება შეადგენდა გლობალური იმპერიული პოლიტიკის ერთ მთავარ ღერძს და გამიზნული იყო ყველა საბჭოთა ეროვნულ-სამხრეთ-დასავლეთის სასიმილიაციოდ. ამის შედეგად შეიქმნა ტრაგიკული ეთნოკრიზისების არაერთი მოკავშირე რესპუბლიკაში. ვიკითხოთ, ქართველი ხალხი მოგებული

(დასასრული მე-3 გვ.)

თავისუფლება უპირველესად

სიყვარულია, ერთობაა, თავდაცვა...

ეროვნული
მოძრაობა

თავისუფლება უპირველესად სიყვარულია, ჩვენ კი სიძულვილმა ისე დაგვრია ბელი, მტერი დავივიწყეთ და ლამის ერთმანეთს დავერიოთ.

თავისუფლება, უპირველესად, ერთობაა. ჩვენ კი დავითოვით დიდი და ლამის ყველამ დამოუკიდებელი პარტია შევქმნათ.

თავისუფლება უპირველესად პატიებაა და სულგრილობა, ჩვენ კი პირადი წყენისთვის ლამის ყველა სამშობლოს მტრად მოვინათლოთ.

თავისუფლება უპირველესად თავდაბლობაა, ჩვენ კი ისე გავუოჩნდით, ცა ქუდად არ მიგვჩინა და დღემდე ქალაქმანად.

თავისუფლება სიცოცხლეა და სიცოცხლე უფრო შეტეხილია.

სიყვარულის, ერთობის, სულგრილობის, თავდაბლობის გარეშე თავისუფლება სიგიჟეა, ზომ გაგივიათ, გიჟი თავისუფალია, მაგრამ ვაი ასეთ თავისუფლებას. სანამ თითოეული ჩვენგანი საკუთარ თავში არ იპოვებს დამნაშავეს და პატიებას არ შესთხოვს მას, სანამ მტრად გვეჩვენება და შურისძიებით ვართ სავსენი, ჩვენ თავისუფლების ღირსნი არ ვიქნებით.

გვეყო თავის მართლება და ერთმანეთის ნაკლები განუწყვეტლივ ქირქილი. დღეს რომ საქართველო ასეთ დღეშია, ერთი ტყუის და ბერიც. ვაჟმართო ერთმანეთს მამულის ასე აფორიაქება, თორემ ზედიზედ საქართველო დღევანდელ შეცდომებს აღარ გვაპატიებს.

ჩვენ ყოველთვის მიგვაჩნდა, რომ არ ვართ პოლიტიკური ორგანიზაცია, მაგრამ სამშობლო მართო პოლიტიკოსებს არ ეკუთვნის. გვინდა, შევასწავლოთ ყველა პირველს, რომ სამშობლო უპირველესია. ბოლომდე აირია მონასტერი, ერთი მხრივ — ხელისუფლების ლანძღვა-გინება, მეორე მხრივ — ოპოზიციაზე ნადირობა. ისე ნუ ვიზამთ, რომ ნაზან წყალს ბავშვიც — საქართველოს მომავალიც გადავუოლოთ, მიგვაჩნია, რომ პირველი ნაბიჯი მორიგებისკენ მან უნდა გადადგას, ვისაც ძალა აქვს, ანუ ხელისუფლებამ. მოვუწოდებთ პრეზიდენტს კონსტიტუციური დიპლომატიის იმ ოპოზიციურ ძალებთან, რომელთაც ასევე ლომის წილი უდევთ საქართველოში კომუნისტური დიქტატურის დამარცხებაში.

გვწამს, რომ საქართველოს ვერავინ დალუპავს, ყველა თავისთავს ანებს, საქართველო კი ჭიების სამარადისოდ.

მწერალთა დამოუკიდებელი ასოციაცია „გულანის“
წევრები.

მამალა გონაშვილი

პაი, საზიარო ჩამო

ეს ლექსი არაა, ეს ჩემი ცრემლია, ამდენხანს გულით რომ ვმალე, როდის გათენდება, როდის გათენდება,

მალე, სანატრელო, მალე, და ასე ლოდინით ხელში

სიტყვა ტკბილი და მწარე, ჰოი, დაწყევლილი, ჩისხლი კანისა

ზეცას კვლავ მეწამულად ფერავს, ამირანს მტრის არა — ნათლის

ჩინი სჭირს, ყოვანი დასწევია მერანს, დღეს ნაწილ-ნაწილად გლეჯენ

საქართველოს, როგორც მაცხოვრის პერანგს. ძმებს შორის მტრობას და

სიძულვილს აგდებენ დედები მანდილოსნად, იტყვიან, შეხედე, სამშობლოს

მტერია, თუკი ხავედური დაგცდა, მტერი დავივიწყეთ, მოყვარე

გადვიმტერეთ, ისარი სამიწეს აცდა, ზოგი გვირგვინს ეძებს, ზოგი

რბილ ხაერძელს, და ზოგიც კაკლების ჩეროს, თითქოს საქართველო სუფრაა

გაშლილი, მცირეს,

ყველა თამადობას ჩემობს. როგორ გიპატრონო, ვისგან დავიფარო, ვაი, საფიცარო ჩემო.

ვახტანგ ლომიძე
ზარი რეკავს
პარტიველებო!

ზარი რეკავს, პარტიველებო, ზემოდან და ქვემოდაც,

ერის მკერდზე მოთმინების ჯაჭვებთან შემოდნა.

ზარი უხმობს ყველა პარტიველს, ჩინიანს და უჩინოს,

აწმყომ წარსულს მომავალი უნდა გადაუჩინოს.

ვინ შეასმენს ამდენ სარდალს, ამდენ ბრძენს და ბნედიანს, —

საქართველო დავითზეც და ილიაზეც მტერია.

იცის მტერმა გახლართულმა ისტორიის ტოტემში,

საქართველოს არ ჰყავს მტერი თავზე უბოროტესი.

ძლიერს მართებს ძალთა მალვა, უძლურს გონის მოკრება,

რომ არ მირჩეს კვლავ მამული მომხვედრის მოსაზრებლად.

ვერვინ გვანახა ერთმანეთთან ერთ-პირი და ერთ-გული,

და თუხთუხებს კუბრის ქვაბი ცოდვის ცეცხლზე შედგმული,

და იმ ქვაბში — დიდს თუ მცირეს,

მართალსა თუ ავუნას, გულწვიანს და გულმწიფალს,

ყველას ერთად ჩავყვრიან.

ჩავყვრიან და ახიც არის! მეტიც დავიმხაურეთ!

მეფიც სცოდავს, მეფის კარიც, მეფის მტერიც ახურებს.

ხოლო ხალხი დაბნეული (ხან — იქეთ და ხან — აქეთ),

ვის ხამოთხე აღვუთქვით და ჯოჯოხეთი ვანახეთ.

ხოლო ძმები გახლჩილნი: კან-აბელ-სეთიად,

მეფე, პრინცთა შინაოშში, ვინც ძმისმკვლელთან შეითქვა,

ხოლო ერი ღმრთისაგან და ჩვენგან დავიწყებული,

არასოდეს მოგებულნი, — სუოველთვით ვნებულნი, —

დაიღალა, დაიღვარა ცრემლად, სისხლად, ბაღმად...

ვიდრე ეს ცა გველეშაპმა სულ არ ჩამოაღამა, —

ფრთხილად, მეფეც! ფრთხილად, პრინციც!

ფრთხილად, ერო, მტრისერთავე! თორემ ჩვენი ამომადგენი ფრთხილად არის ისედაც.

11 სექტემბერი, 1991 წელი.
თბილისი

საქართველოს პრეზიდენტი

გვერდის სპონსორები არიან
საქველმოქმედო ასოციაცია „აღო-
რძინება“ და ამავე ასოციაციის
ფირმა „არგო“.

საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ

- წიგნებისა და ჟურნალების —
- გაზეთებისა და ბროშურების —
- რეკლამებისა და ბლანკების —
- აფიშებისა და ეტიკეტების —
- საფიზიტო ბარათების —

აწეობა-დაკაბადონებას კომპიუტერული ტექნიკით.

თქვენ შემოგთავაზებენ ქართული, რუსული და ლათინური შრიფტების ფართო არჩევანს.

მალდკვალიფიციური სპეციალისტები მაქსიმალურად გაითვალისწინებენ თქვენს სურვილებს და დათქმულ ვადაში შეასრულებენ დაკვეთას.

ჩვენი სახით თქვენ უბიძგით

საიმედო პარტნიორს!

ჩვენი მისამართია: თბილისი, წერეთლის 130, ტელ:
85-26-44; 84-05-14.

ყურადღება, დანია!

გეპატიუებით ყველას, განსაკუთრებით ახალდაქორწინებულთ, საუცხოო, ჯადოსნურ მოგზაურობაში თბომავალ „ესტონიაზე“, ამა წლის 3 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრამდე მარშრუტით: სანქტ-პეტერბურგი (ყოფილი ლენინგრადი) — კოპენჰაგენი. და ეს ყველაფერი არაკონვენტირებულ, მაკულატურად ქცეულ მანეთებზე. საგზურის ფასია 3 000 მანეთიდან 4 500 მანეთამდე კაიუტების კატეგორიების მიხედვით.

იჩქარეთ, შეიძლება ერთი წუთის დაფიქრებამაც კი საგზურის გარეშე დაგტოვოთ. გელოდებით დღეიდანვე დილის 10⁰⁰ სთ-დან 19⁰⁰ სთ-მდე მისამართზე: ბუდაპეშტის ქ. №1. ტელეფონი: 87-58-25

ფირმა „ტს“

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

უცხო ენის შესწავლის მსურველთა საუბრაღებო!

კოორპერატივი „შუამავალი 88“

გთავაზობთ სწრაფმეცნიერულ კურსებს ფსიქო-ლოგოთა დახმარებით.

ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, ებრაული ჯგუფების დაკომპლექტება მოთვრდება 30 სექტემბრის. სწავლას შეუდგებიან 1 ოქტომბრიდან.

დაკომპლექტდება 3 თვიანი და 6 თვიანი ჯგუფები. მეცადინეობას წაუძღვებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.


დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ საღამოს 6 სთ-დან 9 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ყაზბეგის პროსპექტი №39 (ყოფილი პავლივის ქ.) 60-ე საშ.

სკოლა ტ. 39-21-78.

ყურადღება!

კომერციული ტელეკომპანია „აქტრისა მარგარიტა“ საკონკურსოდ იწვევს 20-30 წლის ქალიშვილებს, ვისაც სურვილი აქვს ბედი სცადოს სატელევიზიო დიქტორის ვაკანსიის დასაკავებლად. მოგვმართეთ 1 ოქტომბრამდე ყოველდღე კვირის გარდა 10-დან 20 საათამდე.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ნუცუბიძის, 187. ფირმა „აქტრისა მარგარიტა“. ტელ. 31-27-60



Общественно-политическая
газета

ტელეფონები: მისაღებო — 88-87-81;
პასუხისმგებელი მდივანი — 88-81-58;
წერილების განყოფილება — 88-80-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ
სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტო-
რებს უკან არ უბრუნდება.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი,
მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წიხით საგაზეთო კორპუსში ბოშარაულის 28.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

რედაქტორი
მერაბ ბალარაშვილი

რედაქციის მისამართია
მ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.

